შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№24 (9.934)

18-25 ივლისი 2020 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ცხოვრება წყლის მოლოდინში...

„წყალო! არც გემო გაქვს, არც ფერი, არც სურნელი. შენი აღწერა შეუძლებელია. შენით ტკბებიან და არ იციან, სინამდვილეში რა ხარ. შენ ყველაზე დიდი სიმდიდრე – თვით სიცოცხლე ხარ “

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი



თამილა ქალაქ დედოფლისწყაროში ცხოვრობს. ორ შვილს მარტო ზრდის. მისთვის ყვავილების ბიზნესი შემოსავლის ერთადერთი წყაროა. წყლის დეფიციტის გამო ზაფხულობით მისი სათბური ფუნქციას კარგავს. ყვავილები უწყლოდ ხმება და უსიცოცხლო თავებს დაგლა ხრის. ასეთ ყვავილს აღარავინ იყიდის. ვერც თვითონ შესთავაზებს ვინმეს.

ყვავილების ბედითა და აწყობილი ბიზნესის ჩავარდნით ერთნაირად შეწუხებული დიასახლისი შემოსავლის გარეშე რჩება. „ჩემთვის ყვავილების ბიზნესი შემოსავლის ერთადერთი წყაროა. წყლის დეფიციტი ჩემს ბიზნესზე პირდაპირპროპორციულად აისახება. ყვავილებს შვილებივით ვუვლი. ამიტომ, როდესაც მათ უწყლობისგან ჩამომხმარს ვუყურებ, გული საშინლად მტკივა“-ამბობს ის.

წყლის დეფიციტი სერიოზულ პრობლემას უქმნის 78 წლის მარტოხელა ნინა ბებოსაც. მის ეზოში დამონტაჟებული ონკანიდან წყალი დღეგამოშვებით, გრაფიკის შესაბამისად კი მოდის, მაგრამ იმდენად მცირე რაოდენობითა და დროით, რომ რეზერვუარების ავსებას ვერ ასწრებს. აუცილებელი წყლის რესურსის შევსების ერთადერთი საშუალება ახლომდებარე წყაროა. ასაკის გამო აქ სიარული მისთვის სირთულეს წარმოადგენს. ურიკა კი აქვს, მაგრამ „ბიდონი“ რომ აავსოს და ურიკამდე მიიტანოს, შერყეული ჯანმრთელობის მდგომარეობა ხელს უშლის. პენსიის ამარა მყოფს კი წყლის ყიდვის ფინანსური საშუალება არ აქვს. ამიტომ,ზაფხულობით, მას ტექნიკურთან ერთად სასმელი წყლის პრობლემაც ექმნება. „რომ არა კეთილი და ყურადღებიანი მეზობლები, ალბათ, წყურვილით მოვკვდებოდი“-ჩივის ნინა.

წყალზე დაწესებული გრაფიკი კიდევ ერთ პრობლემას ქმნის. ის ხშირად უბნებს შორის დაპირისპირების საბაბიც ხდება. ადამიანები წუხან, რომ ქსელის ბევრი აბონენტით დატვირთვის პირობებში მათ წყლის საკმარისი რაოდენობა აღარ მიეწოდებათ და სარეცხ მანქანებს ვერ რთავენ. ხალხის ნაწილს კი ამ დროს პირველადი მოხმარებისთვის საჭირო რაოდენობის წყალი ენატრება და სარეცხი მანქანებით რეცხვას ფუფუნებად მიიჩნევს.

„ჩვენ წყალი ჭურჭლის დასარეცხად არ გვყოფნის და ამ დროს ზოგიერთს იმაზე აქვს პრეტენზია, რომ სარეცხი მანქანა აამუშაოს. აპროტესტებენ, მაგ ქუჩას რომ წყალს აძლევთ, ჩვენთან წყლის დონე იკლებს და საკმარისი რაოდენობით წყალს ველარ ვილებთო! ჩვენ ვითხოვთ, რომ დადგენილი გრაფიკის პირობებში მივიღოთ წყალი. ამ შემთხვევაში ხომ ჩვენი, როგორც მომხმარებლების უფლებები ილახება!“-აღშფოთებას გამოხატავს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც წყლის დეფიციტს გაგებით ეკიდება, მაგრამ გრაფიკით გათვალისწინებულ საათებში ითხოვს კუთვნილი წყლის მილებას. ისინი აპროტესტებენ წყლის განაწილებას „ახლობლური“ თუ სხვა რაიმე ნიშნით და კანონისადმი მორჩილებისკენ მოუწოდებს კომპანიას, რომელიც წყლის მიწოდებასა და მის სამართლიან განაწილებაზეა პასუხისმგებელი.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვის-ცენტში აცხადებენ, რომ მუნიციპალიტეტში წყლის დეფიციტი არ ახალია, ძველია და, შესაბამისად, ზაფხულის პერიოდში წყალზე დაწესებული გრაფიკიც. რაც შეეხება შეგნებულად, წინასწარგანზრახვით გრაფიკის დარღვევის ფაქტებს, ისინი ამას კატეგორიულად გამორიცხავენ და აცხადებენ, რომ ამ შემთხვევაშიც „დამნაშავე“ არა კომპანია, არამედ წყალგამანაწილებელ ქსელზე დაზიანება ან წყლის დეფიციტია.

დედოფლისწყაროელები ცხოვრებას წყლის მოლოდინში ატარებენ. XXI-ე საუკუნეში წყალი მათთვის ფუფუნებად ქცეულა. თუმცა, ცოტა ხნის წინ გაჩნდა იმედი, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი წყლის დეფიციტს თავს დააღწევს. ამ იდეასაც გამოუჩნდნენ სკეპტიკოსები.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ნიკოლოზ ჯანიაშვილის ინფორმაციით, ეს პროექტი რეალურია და სკეპტიციზმი-უადგილო. **„თვის ბოლოს გამოცხადდება ტენდერი მდინარე ივრიდან დედოფლისწყაროს წყალმომარაგების პროექტის შეძენაზე. მთავარი მიღწევა ისაა, რომ კვლევა უკვე ჩატარდა, რომელმაც დაადასტურა, რომ წყლის დეფიციტის შევსების ერთადერთი ალტერნატივა მხოლოდ ეს პროექტია. პროექტის შეძენის შემდეგ კი დაიწყება შემდგომი სამუშაოები**“-განაცხადა გაზეთ „შირაქთან“ ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ამ პროექტის განხორციელების შემდეგ, როგორც სპეციალისტები ირწმუნებიან, დედოფლისწყარო უწყლობას თავს დააღწევს და მოსახლეობაც მთელი ზაფხულის პერიოდს წყლის მოლოდინში აღარ გაატარებს.

ინგა შიოლაშვილი

ეპიდსიტუაცია კახეთის რეგიონსა და საქართველოში

17 ივლისის მონაცემებით, კახეთის რეგიონში, 3 საკარანტინე სივრცეში იმყოფება 95, თვითიზოლაციაში - 60 მოქალაქე. მიმდინარეობს 15 ივნისს მიღებული საქართველოს მთავრობის განკარგულება № 975-ის შესაბამისად განსაზღვრული სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებული პრიორიტეტული პირების ტესტირება. კახეთის რეგიონში თვის განმავლობაში დაგეგმილია 8000-დან 9000-მდე ტესტირების ჩატარება. 16 ივლისს აღებული და გაგზავნილი იქნა ლუგარის ცენტრში 164 ნიმუში. ყველა ნიმუშის ტესტირების შედეგი ცნობილია და ნეგატიურია. მათ შორის ყარაჯლის დადასტურებული შემთხვევის 7 კონტაქტის ტესტირების შედეგიც უარყოფითია.

სულ კახეთის რეგიონში აღებული და ლუგარის ცენტრში გაგზავნილია 8297 ნიმუში, აქედან 3130 მედპერსონალია, 2097 კარანტინის ვიზიტორების და სასტუმროს პერსონალი, შშმ პირი - 365 , ტრაილერის მძღოლი 44, საქალაქო ტრანსპორტის მძღოლი 148, შსს- 148.

ცნობისთვის, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში 10 თვის ბავშვს კორონავირუსი დაუდასტურდა. ჩვილი დედასთან ერთად ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ამ დრომდე მკურნალობენ. ექიმების ინფორმაციით, მას ვირუსის მსუბუქი ფორმა აქვს და ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

დედოფლისწყაროში რისკ-ჯგუფების ტესტირება აქტიურად მიმდინარეობს. დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის, მარიეტა გონაშვილის ინფორმაციით, უკვე დატესტეს პოლიციის თანამშრომლები, სატვირთო ავტომანქანების მძღოლები, სამედიცინო პერსონალი, ასევე სათნოების სახლის ბენეფიციარები და მომსახურე პერსონალი. ყველა ტესტის პასუხი კორონავირუსზე უარყოფითია. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში თვითიზოლაციაში იმყოფება 2 მოქალაქე, რომლებიც საზღვარგარეთიდან, კერძოდ, საფრანგეთიდან და ამერიკიდან ჩამოვიდნენ.

17 ივლისის მონაცემებით, ქვეყანაში 4 ახალი შემთხვევა გამოვლინდა. ამის შესახებ ინფორმაცია მთავრობის სპეციალურ ვებგვერდ stopcov.ge-ზე განახლდა. პირველი შემთხვევიდან დღემდე კორონავირუსის 1010 შემთხვევაა დადასტურებული. გამოჯანმრთელდა კიდევ ორი პაციენტი - სულ გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა 885-ს შეადგენს. გარდაცვლილია 15 პაციენტი. კარანტინის რეჟიმში 5640 პირია მოთავსებული. სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ - 244, უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა კი - 41 შეადგენს.

საჯარო გამოსვლების კონკურსი დედოფლისწყაროში

საინიციატივო ჯგუფის „საქართველოს ახალგაზრდული ხედვის“ ფარგლებში ტარდება „საჯარო გამოსვლისა და დებატების კონკურსი დედოფლისწყაროში“, რომლის მსვლელობის დროსაც მონაწილეები დაეუფლებიან საჯარო გამოსვლებისა და დებატების ხელოვნებას, გამოიმუშავებენ საჭირო უნარ-ჩვევებს და შეძლებენ საკუთარი აზრის დაფიქსირებას. კონკურსი შედგება 3 ეტაპისაგან. I ტური დაეთმო მხოლოდ საჯარო გამოსვლას თემაზე „საქართველო, საქართველოს პრობლემები და მისი მოგვარების გზები“. გამომსვლელთა ვიდეოები აიტვირთა „საქართველოს ახალგაზრდული ხედვის” Facebook გვერდზე და გამარჯვებულები გამოვლინდნენ გამოკითხვის შედეგად. პროექტის პარტნიორებია: „საქართველოს ტრენერთა ასოციაცია”, „კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი“, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია და დედოფლისწყაროს სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი. 12 ივლისს 23:59 დასრულდა ხმის მიცემა „საჯარო გამოსვლისა და დებატების კონკურსზე დედოფლისწყაროში” I ტურზე.

II ტურში გადამსვლელი კონკურსანტები იყვნენ: მარიამ ოზბეთელაშვილი, თამარ ხარხელაური, ნინო წიკლაური, ჯაბა ჯამასპიშვილი, ლიკა ჯანაშვილი, შოთა ტალიაშვილი, ზაქრო ჭუაძე,ანა ბუჩუკური, მარიამ ჯალიაშვილი, მარიამ ბატიაშვილი, ანი თედეევი, ანა ყაბანაშვილი, ანა ჩუთლაშვილი, აიდა ნალტაკიანი,მერი ზურაშვილი, ლუკა პოპიაშვილი. 16 ივლისს კი 23:59-ზე დასრულდა ხმის მიცემა “საჯარო გამოსვლისა და დებატების კონკურსზე დედოფლისწყაროშის” II ტურზე.

III ტურში (ფინალში) გადამსვლელი კონკურსანტები არიან: 1.თამარ ხარხელაური (პოლი) 2.მარიამ ოზბეთელაშვილი (პოლი) 3.ანა ბუჩუკური (პოლი) 4.შოთა ტალიაშვილი (პოლი) 5.ლიკა ჯანაშვილი (ჟიურის ქულა) 6.ნინო წიკლაური (ჟიურის ქულა) 7.ზაქრო ჭუაძე (ჟიურის ქულა) 8.ანი თედეევი (ჟიურის ქულა). **ჟიურის მიერ დაწერილ ქულათა ჯამური რაოდენობა ასე გამოიყურებოდა:** 1. თამარ ხარხელაური-301 2. ლიკა ჯანაშვილი-266 3. ნინო წიკლაური-262 4. ზაქრო ჭუაძე-260 5. ანი თედეევი-259 6. ანა ბუჩუკური-258 7. ანა ჩუთლაშვილი-247 7. მერი ზურაშვილი-247 8. ჯაბა ჯამასპიშვილი-246 8. შოთა ტალიაშვილი-246 9.მარიამ ჯალიაშვილი-236 10. მარიამ ოზბეთელაშვილი-235 11. ანა ყაბანაშვილი-228 12. აიდა ნალტაკიანი-225 13. ლუკა პოპიაშვილი-211 14. მარიამ ბატიაშვილი- 189.

საქართველოში წარმოებული პირბადეები ევროპასა და აშშ-ში ექსპორტზე გავიდა

უცხოეთში ქართული წარმოების პირბადეების ექსპორტი დაიწყო. როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ განაცხადა, კერძო კომპანიების მიერ პოლიპროპილენისგან წარმოებული პირბადეები ექსპორტზე ევროპულ ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გავიდა.

„საქართველოში წარმოებული სამედიცინო დანიშნულების პირბადეები, რომლებსაც კერძო კომპანიები აწარმოებენ, გავიდა ექსპორტზე. მოგეხსენებათ, პირბადეები იწარმოება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებშიც და ასევე, კერძო კომპანიების მიერ. დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადრე იმპორტიორი ქვეყანა ვიყავით, ახლა კი პირბადეების ექსპორტიორი ქვეყანა ვართ. ევროპულ ქვეყნებში, უკრაინაში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში გავიდა ექსპორტზე, მანამდე ჩვენ ვკრძალავდით, რადგან ვუყურებდით, რომ შიდა ბაზარი გაჯერებულიყო“, - განაცხადა ნათია თურნავამ.

რაც შეეხება დოლბანდის 12-შრიან პირბადეებს, რომლებიც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებშია წარმოებული, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განცხადებით, ამ დროისთვის, 5 მილიონამდე პირბადეა წარმოებული და საოფთიაქო ქსელები მარაგდება. მინისტრისვე განმარტებით, აღნიშნული პირბადეების ექსპორტი, რომელიც მოსახლეობას სუბსიდირებულ ფასად მიეწოდება, არ განიხილება.

სტიქიამ კახეთი დააზარალა

თელავის მუნიციპალიტეტში სტიქიისგან მიყენებული ზარალის დათვლა დღეს დილიდან დაიწყეს. სტიქიამ სოფელი ნაფარეული, სანიორე, ჯუღაანი, კონდოლი, კურდღელაური, ნასამხრალი, წინანდალი, შალაური და ქალაქი თელავი დააზარალა.

დასეტყვილია ვენახები, საკარმიდამო ნაკვეთები. სტიქიამ ხეები მოგლიჯა და საცხოვრებელ სახლებს სახურავები გადახადა.

„გადახდილია სახლის სახურავებიც, ამ მხრივ ყველაზე ცუდი მდგომარეობაა სოფელ კონდოლში. 18 კაცისგან შედგა 6 ჯგუფიანი კომისია და დილის რვა საათიდან ითვლიან ზარალს. რა ზარალი მიაყენა სტიქიამ მოსახლეობას, ამ ეტაპზე ზუსტი ოდენობის თქმა მე არ შემიძლია. თითქმის ორი ათეული სახლი უკვე აღწერილია. როცა ზუსტი მონაცემები გვექნება , შემდეგ გახდება ცნობილი რისი საშუალება გვექნება, რომ მოსახლეობას სარეზერვო ფონდიდან დავეხმაროთ“ . განაცხადა თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ დავით გეგიაშვილმა.

სტიქიამ თელავთან ერთად ყვარლის მუნიციპალიტეტსაც შეუტია. სეტყვასაწინააღმდეგო სისტემამ 150-მდე ჭურვი გაისროლა, თუმცა სეტყვასაშიში პროცესები მაინც ვერ განეიტრალდა.

სკოლაში დღეგამოშვებით მისვლა და გაყოფილი კლასები - შესაძლოა,სწავლა შერეული მოდელით აღდგეს

ჩვენთან სიტუაცია რომ არ დამძიმდეს, ამიტომ ხდება ახალი რეგულაციების შემოღება, რომლითაც შესაძლებელი იქნება ქვეყანაში ზომიერი კონტროლირებადი მატების შენარჩუნება, - ამის შესახებ თბილისის ინფექციური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორმა მარინა ეზუგბაიამ ჟურნალისტებს განუცხადა.

„იმის თქმა, რომ ჩვენთან შემთხვევები არ იქნება, ეს რა თქმა უნდა არასერიოზულია. ხომ ხედავთ ჩვენ გარეშემო ქვეყნები რა დღეში არიან. იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ არსებული სიტუაცია, ამისთვის ჩვენი ყველა რეგულაცია, ჩემი აზრით, სრულყოფილია. ახალ-ახალი რეგულაციები ემატება, რადგან შემდგომშიც დარჩეს ჩვენს ქვეყანაში დღეს არსებული კონტროლირებადი სიტუაცია”, - აღნიშნა მარინა ეზუგბაიამ.

მისი თქმით, შერეული სწავლება იმისთვის იგეგმება, რომ აღდგეს სწავლება და სკოლებმა ფუნქცია დაიბრუნონ.„ასეთი კონფიგურაციით, ანუ დღეგამოშვებით, გაყოფილი კლასების დასწრება სკოლაში და მეორე ნახევრის ონლაინ რეჟიმში სწავლება არის ის საშუალება, რომელიც რეგულაციებს გაამყარებს. ამ კლასებში შესაძლებელი იქნება დისტანცირება და პირბადის გამოყენების ეფექტურობაც”, - განაცხადა მარინა ეზუგბაიამ.

დღეს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ ფიქრობენ სწავლის შერეული მოდელზე, რომელიც გარკვეულწილად ონლაინ და საკლასო სწავლებას ითვალისწინებს.

ქალზე ან ოჯახში მოძალადე ელექტრონული სამაჯურით გაკონტროლდება

საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა თანმდევი ცვლილებების პროექტი.

შსს-ს განმარტებით, მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად იქმნება დამატებითი მექანიზმები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ეფექტიანობის ასამაღლებლად. კანონის თანახმად, შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად, შესაძლებელი იქნება მოძალადის მიმართ დაწესდეს ელექტრონული ზედამხედველობა, თუ სახეზეა ძალადობის განმეორების რეალური საფრთხე. ელექტრონული ზედამხედველობის დაწესებისას მხედველობაში იქნება მიღებული, მოძალადის მიერ წარსულში ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ძალადობის განხორციელებისას ცივი/ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ფაქტი და სხვა გარემოებები. „ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების შემთხვევაში მოძალადეს სხეულზე ელექტრონული სამაჯური დაუმაგრდება. აღნიშნულის შედეგად მოძალადის მიერ მსხვერპლთან/მსხვერპლის სახლთან, მის სამსახურთან და სხვა ტერიტორიასთან მიახლოების რეალურ დროში კონტროლი მოხდება. ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების საკითხი დაექვემდებარება სასამართლო კონტროლს. პოლიციის მიერ შედგენილი ოქმი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად სასამართლოს წარედგინება“, — განმარტავს შსს.

ელექტრონული ზედამხედველობისათვის თავის არიდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას გამოიწვევს. ამასთან, საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებსაც. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის ინტერესების გათვალისწინებით დამცავი ორდერის მოქმედების ვადა იზრდება 9 თვემდე, ნაცვლად 6 თვისა. ფართოვდება ოჯახის წევრის დეფინიცია, ოჯახის წევრის ჩამონათვალს ემატება წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები, მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი პირი.

საკანონმდებლო პაკეტი ძალაში 2020 წლის პირველ სექტემბერს შევა.

საბათლოში ეკლესია ამოქმედდა

წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ტაძარი ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის მღვდელმთავარმა, მეუფე დიმიტრიმ აკურთხა და პირველი წირვა აღასრულა.

როგორც ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიაში განაცხადეს, ტაძარი მოქმედი იქნება და იქ ილუმენი იაკობი (ჩაგუნავა) იმსახურებს.

ტაძარი ბიზნესმენ ნიკოლოზ ბენიაიძის დაფინანსებით აშენდა. მისივე შემოწირულობებით და ძალისხმევით შენდება სოფელ არხილოსკალოს ტაძარიც.

„ეს პირველი ტაძარია დედოფლისწყაროში, რომელიც მეუფე დიმიტრიმ ამ ეპარქიაში აკურთხა. გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ახლად ნაკურთხი ტაძარი და სასულიერო პირებთან ურთიერთობა დადებით როლს შეასრულებს სოფელ საბათლოს მკვიდრი მოსახლეობის სულიერ ცხოვრებაში, “ - აცხადებენ ეპარქიაში.

უკიდურესი აღმოსავლეთით მდებარე სოფელი საბათლო ძირითადად ეთნიკური სომხებითაა დასახლებული და ამ დრომდე იქ მართლმადიდებლური სალოცავი არ მოქმედებდა. სოფელი დედოფლისწყაროს რაიონული ცენტრიდან მკვეთრად მოწყვეტილია და 70 კილომეტრითაა დაშორებული. აზერბაიჯანის საზღვრის სიახლოვეს, ასი წლის წინ, სოფელი მას შემდეგ წარმოიშვა, რაც მეოცე საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანში მომხდარ ეთნიკურ კონფლიქტს სომეხი ეროვნების მოქალაქეები გაერიდნენ და სოფელ საბათლოში დასახლდნენ.

სათნოების სახლს დაფინანსება გაეზარდა

16 ივლისს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ პაპიაშვილის ხელმძღვანელობით, საკრებულოს მორიგი სხდომა ჩატარდა. სხდომას დედოფლისწყაროს მუნიციიპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან ერთად დაესწრო.

საკრებულოს გადაწყვეტილებით ცვლილებები შევიდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარების 2020 წლის პროგრამაში. აღნიშნული ცვლილების თანახმად, 18 წლამდე ასაკის სპორტსმენებს სამედიცინო მომსახურება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაუფინანსდებათ. დაფინანსების ან თანადაფინანსების მისაღებად სპორტსმენებმა სხვა საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად (ოჯახის სარეიტინგო ქულას მნიშვნელობა არ აქვს) უნდა წარმოადგინონ ცნობა ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრიდან სპორტსმენის ტრამვის შესახებ.

მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარების 2020 წლის პროგრამაში შესული მეორე ცვლილება ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლის“ დაფინანსების 10 600 ლარით გაზრდას გულისხმობს. აღნიშნული თანხა ბენეფიციართა კვებას მოხმარდება.

საკრებულომ ასევე ცნობად მიიღო ინფორმაცია ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი ჭინჭარაულის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. გიორგი ჭინჭარაულმა საკრებულო საკუთარი გადაწყვეტილებით დატოვა.

მოდი, ვნახოთ ხორცი!

სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა დედოფლისწყაროში ხორცის გამყიდველები შეამოწმეს და დააჯარიმეს...

ბაზრის ტერიტორიაზე და სხვადასხვა მაღაზიებში სულ ხორცის გაყიდვის 10-მდე სექცია ფუნქციონირებს. აქედან უმეტესობას მიეცა გაფრთხილება სხვადასხვა დარღვევის გამო, ზოგიერთის მიმართ დირექტივები გაიცა და ზოგიც დააჯარიმეს 1000 ლარით, სამედიცინო ცნობა „ფორმა N2“ -ის (ცხოველის ჯანმრთელობის ცნობა) არქონის გამო. სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული ბრძანების შესაბამისად, ხორცით მოვაჭრეებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ხორცის ვარგისიანობის დამადასტურებელი ცნობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ეკრძალებათ პროდუქციის რეალიზაცია.

ხორცით მოვაჭრეები ფინანსურ პრობლემებზე საუბრობენ და აცხადებენ, რომ ხორცკომბინატში საქონლის დაკვლა მათ ხარჯებს ზრდის.

„საქონლის დაკვლა ხდება სოფელ გამარჯვებაში არსებულ ხორცკომბინატში, იქვე ექიმის მიერ ხდება საქონლის ვარგისიანობაზე ცნობის გაცემა, რომელიც გარკვეულ თანხებთანაა დაკავშირებული, კერძოდ, 100 კილოგრამამდე ღირს 30 (ოცდაათი) ლარი, ხოლო 100 კგ-ზე ზემოთ -60 (სამოცი) ლარი“.

„ჩვენ ჩვენი მომმარაგებელი გვყავს, რომელიც შოულობს საქონელს მოსახლეობაში, შემდეგ ხდება მისი ტრანსპორტირება გამარჯვებაში, შემოწმება და კვლავ უკან წამოღება, ეს ძვირი ჯდება და აისახება ხორცის გაყიდვის ფასზე, ჩვენც ხომ უნდა დაგვრჩეს კაპიკები? ეს პროცესი არის დასარეგულირებელი.” - ამბობენ ხორცის გამყიდველები.

მათი არგუმენტების მიუხედავად, ხორცის მოვაჭრეები დააჯარიმეს ანდა გააფრთხილეს და დრო მისცეს დარღვევების გამოსასწორებლად.

გარდა ამისა, სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ქვეყნის მასშტაბით, ნახევარფაბრიკატებში ცხენის/ვირის და ქათმის ხორცის იდენტიფიცირებისთვის კვლევა ჩატარდა, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ 9 სახეობის ნახევარფაბრიკატის შემცველობა ეტიკეტზე მითითებულ ინფორმაციას არ შეესაბამებოდა.

სააგენტოს განცხადებით, ინსპექტირების ჯგუფებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა სავაჭრო ობიექტიდან, ცხენის/ვირის ხორცის იდენტიფიცირებისთვის - ნახევარფაბრიკატების 20 ნიმუში აიღეს. ამავე რაოდენობის ნიმუშები იქნა აღებული ფრინველის ხორცის იდენტიფიცირებისთვისაც. ნიმუშები აკრედიტებულ ლაბორატორიაში - „ხარისხის ლაბორატორია“ (LLC Quality Lab) - გამოიკვლიეს.

სახეობრივი კვლევის შედეგად ნახევარფაბრიკატის 9 ნიმუშში ფრინველის ხორცი აღმოაჩინეს, თუმცა ეტიკეტზე ამის შესახებ მითითებული არ იყო. რაც შეეხება ცხენის/ვირის ხორცს, არცერთ შემთხვევაში დარღვევა არ გამოვლენილა.

ეტიკეტზე მითითებული ინფორმაცია შემცველობას არ შეესაბამებოდა შემდეგ ნახევარფაბრიკატებში:

შპს „თავადური 2014“ – „კატლეტი გაყინული“ და „გუფთა გაყინული“

შპს „ექსტრა მითი“ – „სოსისი საბავშვო“

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა ვაკე“ – „სოსისი საქონლის ვაკე“

შპს „ოს გრუპი” – „პილმენი გაყინული“

შპს „ნიკორა“ – „ხინკალი სამეფო“ და „სოსისი ივერია“

შპს „ფასანაური 2010“ – „ფარში ძროხისა და ღორის ხორცის“

შპს „ხახაბო“ – „გაყინული ხინკალი“

სურსათის ეროვნული სააგენტო აცხადებს, რომ ბიზნესოპერატორები დაჯარიმდნენ და სურსათის ბაზრიდან გამოთხოვა დაევალათ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲝᲛᲐᲒᲘ

დღეს ჩვენი იუბილარი სპორტის ენთუზიასტი და დიდი ქომაგი ელგუჯა თეთვაძე გახლავთ, კაცი, რომელმაც მთელი თავისი ცნობიერი სიცოცხლე სპორტით იცხოვრა- ბავშვობიდან დღემდე. 23 ივლისს ის 70 წლის ხდება. ასაკთან შედარებით მხნედ და ენერგიულად გამოიყურება, კვლავ მრავალი ღონისძიების და საქმის თაოსანი და ორგანიზატორია. ვინ არის ელგუჯა თეთვაძე, რა გზა გაიარა, რას ემსახურა და რა გააკეთა, ამაზე საუბარი დავიწყოთ მისი წარმომავლობითა და ბავშვობით.



ის პავლე თეთვაძის და სოფო ბერიძის ოჯახში 1950 წლის 23 ივლისს მეცხრე შვილად დაიბადა სოფელ ჯაფარიძეში (ახლანდელ სამრეკლოში), თუმცა, მისი ფესვები სამცხე-ჯავახეთიდან, ახალქალაქის რაიონის სოფელ პტენადან მოდის. ქიზიყში დაბადებულსა და გაზრდილს თავისი ფუძე და მიწა-წყალიც ძალიან უყვარს და ხშირად სტუმრობს იქ დარჩენილ ახლობლებს ჭირსა თუ ლხინში. მისი მშობლები წითელწყაროში 1935 წელს, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით ჩამოსახლდნენ სანათესაოსთან ერთად.

-იყო ოთხი ძმის და ოთხი დის კოჟანდარა ძმა, ადვილი არ არის - მას თან ახლავს ბევრი ტკივილიც და სიხარულიც. ბავშვობაში ყველა განებივრებს, გეფერებიან, გპატრონობენ, მაგრამ დიდობაში იყო ამდენი ადამიანის ჭირისუფალი, არ გიხორცდებოდეს ის ჭრილობები, რომელიც თითოეული მათგანის დაკარგვამ მოგაყენა, მით უმეტეს, თუ ნაადრევად დაობლებულს უფროსი და-ძმების მშობლიური ამაგი გახსოვს, -გვეუბნება ბატონი ელგუჯა და იმ ეპიზოდებს იხსენებს, რომელიც მისი დედმამიშვილების ზრუნვას და ურთიერთობებს ეხება.

-დღესაც ჩემი დის, რაიონში ცნობილი და დამსახურებული აგრონომ-ენტომოლოგის მარო თეთვაძის მიერ მამისეულ ეზოში, უფროსი ძმის, რომანის, მომიჯნავედ აშენებულ სახლში ვცხოვრობ ჩემი ცოლ-შვილით და დიდად მადლიერნი ვართ მისი, - სრული გულწრფელობით ამბობს ის.

12 წლის იყო, დედა რომ გარდაეცვალა, დედა, რომელმაც თავისი ავადმყოფობის გამო ის სკოლა-ინტერნატში მიაბარა, სადაც სამი წელი გაატარა და ობლობის მწარე სინამდვილე სწორედ იქ შეიგრძნო. დედის გარდაცვალების შემდეგ უფროსმა და-ძმებმა სახლში დააბრუნეს და ხელი შეუწყეს, რომ წითელწყაროს N1 საშუალო სკოლა დაემთავრებინა. სპორტისკენ მიდრეკილ, სხარტსა და ენერგიით სავსე ყმაწვილს თბილისში, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტის ბაზაზე არსებულ სამწვრთნელო სასწავლებელში მწვრთნელის პროფესია მიაღებინეს და სავალდებულო სამხედრო სამსახურმაც მოუწია. 1972 წელს სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი საკუთარ რაიონს დაუბრუნდა და ორი წელი იმუშავა სოფელ ზემო ქედის რვაწლიან და საშუალო სკოლებში ფიზაღზრდის მასწავლებლად. 1973 წელს ჩააბარა თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტში დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა.წლების განმავლობაში მუშაობდა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნეს“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. ეს სახელი ერქვა „ნებაყოფლობითი“, თორემ საქმიანობას ჩვეულ რეჟიმში ანხორციელებდა მთელი რაიონის მასშტაბით-საბათლოდან დაწყებული მირზაან-ზემო მაჩხაანით დამთავრებული, ყველგან მაღალ დონეზე იდგა სპორტული ღონისძიებების ჩატარება, ნორმატივების ჩაბარება, რაიონის ნაკრებების მუშაობა და სხვა მრავალი. სწორედ ამ საქმიანობის შუაგულში ტრიალებდა ბატონი ელგუჯა. ოცი წელი რაიონის განათლების განყოფილებასთან არსებული სასპორტო სკოლის დირექტორი იყო და მის ხელში არაერთი ცნობილი სპორტსმენი გაიზარდა, რომლებიც წარმატებულად ასპარეზობდნენ რესპუბლიკურსა თუ საკავშირო შეჯიბრებებში და მაღალი შედეგებითაც ბრუნდებოდნენ. მისი თაოსნობით რაიონში პირველად ჩატარდა ზონალური პირველობა ფეხბურთში, სადაც ჩვენმა ბავშვებმა პირველი ადგილი დაიკავეს. ისევ სპორტსკოლის ორგანიზებით ჩატარდა რესპუბლიკური პირველობა მოსწავლეთა შორის ჭიდაობა სამბოში, სადაც ჩვენმა ბავშვებმა პირველობა არავის დაუთმეს. ანალოგიური რესპუბლიკური გუნდური პირველობა ჩატარდა ჭიდაობა ძიუდოში. ამ ღონისძიებების ჩატარება ადვილი არ იყო, ეს დაკავშირებული იყო დიდ სირთულეებთან, თუნდაც, ისეთი, როგორიცაა სასტუმროთი უზრუნველყოფა, კვება და სხვა. ამას დიდი ორგანიზაციული უნარი და მუშაობა სჭირდებოდა. ამ ყველაფერს კი ელგუჯა თეთვაძე წარმატებით უძღვებოდა. დიდი შრომა ჩადო მან თავისუფალ ჭიდაობაში საკავშირო შეჯიბრისთვის გუნდის მომზადებასა და მათი შეჯიბრში მონაწილეობის უზრუნველყოფაში, სადაც ვასილ უზუნაშვილი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა, რაც რაიონისთვის სპორტული მიღწევების რეკორდი იყო. საქართველოს ნაკრებში დაიმკვიდრეს ადგილი გელა გოგილაშვილმა და ჰამლეტ ყოჩიაშვილმა (მწვრთნელი ვაჟა ანდრიაშვილი). სწორედ ელგუჯა თეთვაძემ , რომ იტყვიან, ძალდაძალ „წაართვა“ თანხა განათლების რესპუბლიკურ საბჭოს და 1989-90 წლებში რაიონში გახსნა სპორტული ბანაკი, სადაც დღე

და ღამე ერთად იყვნენ სპორტსმენები და მწვრთნელები, რამაც მოზარდების სპორტული უნარების გამოვლენასა, დახვეწასა და მობილიზებაში დიდი როლი ითამაშა. რესპუბლიკის დამსახურებული მწრთვნელების დავით გონაშვილის და გივი ლაზვიაშვილის,უმაღლესი კატეგორიის მწვრთნელ-მასწავლებლების ვაჟა ანდრიაშვილის, აკაკი მაჩაბლიშვილის, მიხეილ ბექიშვილის და სხვათა ძალისხმევით, დღეში ორჯერადი ვარჯიშით სპორტსმენებმა არნახულ შედეგებს მიაღწიეს. სწორედ ამ ბანაკში გაიარა წრთვნა შემდგომში მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა რევაზ მინდორაშვილმა, რომელსაც მწვრთნელი დავით გონაშვილი ავარჯიშებდა.ათეული წლებია, თითქმის შიშველი ენთუზიაზმის და მონდომების ხარჯზე, ელგუჯა თეთვაძე თაოსნობს ჩვენი რაიონის ცნობილი სპორტსმენების სახელობის მოსაგონარ ტურნირებს. ასეთებია: კალათბურთელი დავით ხელაშვილის, პედაგოგების- დიმიტრი გონაშვილის და ვალიკო ბეროშვილის, სპორტული სკოლის ყოფილი დირექტორის დავით გოგაშვილის, ევროპის ჩემპიონის ანზორ მარტყოფლიშვილის, ძიუდოს „პაპის“ ბიძინა მაზიაშვილის, ბიჭიკო (ჭიჭია) ბუჩუკურის, ვანო ჩოხელის, ვასიკო გარიზაშვილის (პოლკოვნიკა), შალვა (ელგუჯა) ლალიაშვილის, ნიკოლოზ (ჭერემა) ლაზვიაშვილის,ვალერი ტოკლიკიშვილის და სხვათა ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირები. ამით ელგუჯა საზოგადოებას შეახსენებს, რომ არ დავივიწყოთ ისინი, ვინც თავისი წილი აგური დადო რაიონში სპორტის განვითარების საქმეში. ცოტა ხნის წინ ჩატარდა სწორედ კრებითი ხასიათის ღონისძიება „რაიონის თვალსაჩინო მოღვაწეთა მოგონება“. თუმცა, არც ცოცხლებს ტოვებს უყურადღებოდ. გასულ წელს ჩვენი რაიონის სპორტის ამაგდარ ადამიანს თენგიზ (ვისერგი) გუმაშვილს 70 წელი შეუსრულდა. სწორედ ელგუჯა ჩაუდგა სათავეში და ერთად მოუყარა თავი რაიონის ცნობილ სპორტულ მოღვაწეებს თენგიზის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად. ეს იყო მშვენიერი და დაუვიწყარი დღე სტუმრებისა და მასპინძლებისთვის. ამ ყველაფრის გამო მეგობრები მას „დიდ საზოგადო მოღვაწეს“ ეძახიან სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად.უამრავი სიგელი, მადლობის ბარათი, დიპლომი და საჩუქარი ამშვენებს მის ბიოგრაფიას. მინდა, ცოტა უკან დავბრუნდე და გავიხსენო ელგუჯა თეთვაძის მოღვაწეობა 90-იან წლებში. 1983-90 წლებში, შვიდი სეზონის მანძილზე, ის გახლდათ რესპუბლიკური პიონერთა ბანაკის დირექტორი, რომელიც იმ დროისთვის დაბურულსა და საამო ლეტნიკის ტყეში მდებარეობდა. აქ ჩვენი რაიონის ბავშვებთან ერთად სხვა რაიონის და დედაქალაქის მოსწავლეებიც ისვენებდნენ. იყო სანიმუშო სისუფთავე, ოთხჯერადი კვება და დაურღვეველი დღის რეჟიმი,რომელიც ბავშვების დასვენებისთვის აუცილებელი იყო. სპორტულ მოედნებზე მრავალი შეჯიბრი იმართებოდა, მუშაობდა შემეცნებითი ხასიათის თუ ხელმარჯვეთა წრეები, ლიტერატურული საღამოები და კონცერტები საუკეთესო რაზმის გამოსავლენად. დღე და ღამე ფეხზე იდგა. არც თვითონ ისვენებდა და არც თანამშრომლებს პატიობდა ელემენტარულ უყურადღებობას და სიზარმაცეს. ბავშვებს უყვარდათ თავისი დირექტორი და ზოგიერთი მათგანი წლების განმავლობაში კავშირს არ წყვეტდა - წერდა წერილებს, უგზავნიდა სადღესასწაულო ღია ბარათებს, რადგან ელგუჯა დირექტორის მეშვეობით ბანაკში გატარებული წლები მათი ცხოვრების საამურ და დაუვიწყარ დღეებს უკავშირდებოდა.

ეს იყო მაშინ, კომუნისტური წყობის დროს. მერე კი დაჰქროლა თავისუფლების ქარმა და სიკეთესთან ერთად ბევრი რამ, ნებით თუ უნებლიედ, მიანგრივ-მოანგრია. ცხოვრებამ გეზი იცვალა და ყოფითმა პრობლემებმა იმძლავრა .ელგუჯამაც, როგორც ძალიან ბევრმა სხვამ, გამოსავალი საზღვარგარეთ წასვლაში დაინახა. ის, კარგა ხანს, ცოლ-შვილთან ერთად, მოსკოვის ერთ-ერთ გარეუბანში ცხოვრობდა და მეწარმეობას ეწეოდა. ამასობაში ბიჭები წამოიზარდნენ, მშობლები მიხვდნენ, რომ მათ ჩამოყალიბებას ქართული გარემო სჭირდებოდა და...ისინი მშობლიურ რაიონს დაუბრუნდნენ. დანაზოგითა და სხვადასხვა საშუალებების გამონახვით სასურსათო მარკეტი გახსნეს საკუთარ ეზოში და დაიწყეს „ბრძოლა არსებობისთვის“, რადგან საქართველოში, მით უმეტეს საზღვრისპირა, ჩიხურ რაიონში, ფართო მასშტაბებისთვის ნაკლებად ხელსაყრელი გარემოა. მოსახლეობის დიდ ნაწილს უჭირს. პურისთვის და შაქრისთვის „ნისიაზე“ შემოსულ ადამიანს უკან ვერ აბრუნებს და ასე „სიკეთის ქმნით ნაკვები“ ნისიების რვეული თანდათან იზრდება...ცოდო-მადლის ძალა დღესაც კარგად იცის ნაადრევად დაობლებულმა ელგუჯამ, 12 წლისამ დედა დაკარგა და, მიუხედავად და-ძმებისა და ახლობლების თანადგომისა, ძალიან დიდი საძმო-სამეგობროსი, შესანისნავი ცოლ-შვილისა, დედის დანაკლისი მისთვის გულში ჩარჩენილი ყველაზე დიდი სევდაა.

და მაინც, ვინ არის და როგორი ადამიანია ელგუჯა თეთვაძე? პირველ რიგში ხაზი მის შრომისმოყვარეობას უნდა გავუსვათ, თავადაც არ ისვენებს და გარშემომყოფთაც სტიმულს აძლევს იყვნენ აქტიურები და დაუზარელები. კაცთმოყვარე და ჰუმანურია, თუმცა, პრინციპული და შეუვალი, როდესაც იცის, რომ მართალია. მზრუნველი მეუღლე, მამა და პაპა. მისი ვაჟები- დავითი და ლევანი უკვე დაოჯახებულები არიან.საურველი რძლები შეუვიდა ოჯახში-იზა ტოკლიკიშვილი და ქეთი მეხრიშვილი. დავითს ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავს: ბექა, ელენიკო და ლუკა. ლევანს ორი გოგონა: ნინი და ნათია. და რაც ჩვენთვის, რედაქციელებისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანია, ელგუჯა ჩვენი სიძეა, რედაქციის ბუღალტერის ნათელა ბოსტაშვილის მეუღლე და თითოეული ჩვენგანის მეგობარი. ჩვენი ჭირისა და ლხინის მოზიარე, ჩვენი თამადა, სხარტი იუმორით გამორჩეული და ერთგული ადამიანი. ათეული წლებია, ერთად მოვდივართ, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული გვაკავშირებს. ელგუჯამ ეს მილოცვა და დაფასება თავისი ცხოვრების განვლილი გზით დაიმსახურა. ვულოცავთ მას საიუბილეო 70 წლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და გახარებას თავის დიდსა და საყვარელ ოჯახთან ერთად. იმედი გვაქვს, რომ ის როგორც სპორტის დიდი ქომაგი კვლავაც მრავალი ლამაზი ღონისძიების ორგანიზატორი იქნება.

P.S.

ამ დღეებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა ელექტრონულ მედიასა და ფეისბუქში ცნობილი კალათბურთელის თორნიკე შენგელიას მოსკოვის ცსკა-ს გუნდში გადასვლას. აზრი ორად გაიყო: ზოგნი გმობენ მის საქციელს და ზოგიც კი ჩვეულებრივ ხვდება, როგორც კომერციულ საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ჩვენს იუბილარსაც: „თუ რუსეთში ცხოვრება და ბიზნესით დაკავება შეიძლება, რა არის მიუღებელი, ადამიანმა თავისი შესაძლებლობა იქ გამოიყენოს, სადაც მისთვის ეკონომიკურად მოსახერხებელია. კალათბურთელობაც სპეციალობაა. გაუვა კონტრაქტს ვადა და ეს ურთიერთობაც დამთავრდება,“-გვიპასუხა მან.

ᲜᲐᲘᲠᲐ ᲒᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

როგორ ველაპარაკოთ შვილებს?

თანამედროვე სამყაროში დედისა და მამის ტრადიციული როლი ნელ-ნელა რადიკალურად იცვლება. თუმცა, თუკი საქართველოში დასაქმებული მშობლისა და შვილების ურთიერთობაზე ვსაუბრობთ, ასოციაციურად მშობელში პირველ რიგში ჯერ დედას წარმოვიდგენთ. ჩვენ ვცხოვრობთ გარემოში, სადაც საზოგადოებასთან ერთად, ქალბატონებს თავად აქვთ საკუთარი თავის მიმართ მოთხოვნა, რომ პროფესიული წინსვლისა და თვითრეალიზების პარალელურად, საუკეთესო მშობლებიც იყვნენ. სწორედ მას შემდეგ, რაც ამ საუკუნის სამუშაო ძალაში ქალების ჩართულობამ მკვეთრად იმატა, დასაქმებული მშობლების გავლენა შვილების განვითარებაზე ბავშვთა ფსიქოლოგებისა და ექსპერტების კვლევის საგანი გახდა.მართალია, ორმაგი შემოსავლის ოჯახში ბავშვი ფინანსურად ორმაგად უზრუნველყოფილია, თუმცა, ჯანსაღი სოციალურ-ემოციური განვითარებისათვის სულ სხვა, არამატერიალური ფაქტორებია გადამწყვეტი. ამ პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბავშვის დაბადების მომენტიდან მისი მშობლებთან დაწყებული კავშირია. დღეს კი მშობელი უფრო ხშირად ინტერესდება იმით, თუ რა ჭამა მისმა შვილმა ბაღში (ან სკოლაში), მასწავლებელსაც ამას ეკითხება, თუმცა, მთავარი ავიწყდება: ჰკითხოს, თუ რა ისწავლა, რა ეწყინა ან რა გაუხარდა მის შვილს. საკუთარ თავსაც არ ეკითხება მშობელი, თუ რა უხარია, რა სწყინს, რა ემოცია აქვს და ცხოვრობს ასე. მშობელმა, ნახევარი საათი მაინც უნდა გამოყოს, რომ ემოციურად მისაწვდომი გახდეს საკუთარი შვილისთვის.

აზროვნების აკადემიის საკვირაო სკოლის პედაგოგი, მწერალი - გურამ მეგრელიშვილი წერს: „შევხედოთ ჩვენს თავებს, სარკეში ჩავიხედოთ, დავაკვირდეთ, როცა ვლაპარაკობთ რა სახე გვაქვს და რა ტონით ვსაუბრობთ...“ ჩვენი საზოგადოება როგორია, იცით? საფრთხის განცდა აქვს. არაფერს უპირებ და მაინც თავდაცვით მდგომარეობაშია. სანამ წაგებამოგების ენით ვსაუბრობთ, რჩევებსაც არ აქვს აზრი. ჩვენ ვართ მატერიაზე მიწებებულები. მშობლები 24 საათი მუშაობენ, რომ შვილი უზრუნველყონ, მაგრამ ამაში არ არის ბედნიერება. ერთმა უცხოელმა პროფესორმა, როცა თქოს ჩვენი ინტერესები და შეხედულებები რადიკალურად განსხვავებულია. მიგვაჩნია, რომ დისციპლინა (ხშირად მკაცრი დისციპლინა) აუცილებელია, ჩვენს შვილებს კი ასეთი ხისტი მიდგომა არ სიამოვნებთ და აქვთ პროტესტის ისეთი ფორმა, რომელიც ახლა ჩვენში იწვევს აგრესიას და ხდება კონფლიქტი, ან უარესი (შეცდომით არ ვწერ, რადგან ასეც მიმაჩნია) - შვილის პიროვნების დათრგუნვა.

რა უფრო მნიშვნელოვანია? რას ვეუბნებით ბავშვებს,თუ როგორ ვეუბნებით,რა სიტყვებით,რა ფორმით და როგორი სხეულის ენით?

მშობლისთვის რთულია ხოლმე საკუთარი ქცევის ობიექტურად შეფასება, ასეთი შემფასებელი კი, ჩვენ ირგვლივ შეიძლება არც არავინ მოიძებნებოდეს. პედაგოგს (იმედი მაქვს) სკოლა ამოწმებს, სკოლას - სამინისტრო (აქაც ვიმედოვნებ), სამინისტროს კი - ჩვენ. ვინ აფასებს მშობელს? კარგ შემთხვევაში მეორე მშობელი, რომელიც, ხშირად ასევე სუბიექტურია. ბავშვები ძალიან მგრძნობიარეები არიან ავტორიტეტული ადამიანების მხრიდან მათ შეფასებაზე, განიცდიან, როდესაც არ გვჯერა მათი შესაძლებლობების და უხარიათ გამხნევება, მაგრამ ჩვენ, მშობლები, ხშირად ამ ორ უმნიშვნელოვანეს ასპექტს ერთმანეთში ვურევთ და ვურევთ ძალიან ცუდად. მოსწავლეებთან და შვილებთან ვცდილობ რამდენიმე ოქროს ფორმულა ჩვევად ვაქციო. სხვის შვილებთან კარგად გამომდის, საკუთართან - ძნელად, მაგრამ რაკი მასწავლებლობაც და მშობლობაც ერთი გრძელი, დაუსრულებელი გზაა საკუთარი, პიროვნული ზრდისკენ, ცდას არ ვაკლებ და მინდა ეს რჩევები თქვენც გაგიზიაროთ.

თურმე ბავშვები ინდივიდუალურად აღიქვამენ ხმის ტონალობას. ის, რაც ერთისთვის უბრალოდ ენერგიულად ნათქვამია, მეორესთვის ცოტა მკაცრი ტონია, მესამესთვის კი უბრალოდ შეურაცხყოფელი მიმართვა. შვილთან თითქოს მარტივია, რაღაც ერთს შეურჩევ, ჯგუფთან რთულია — ინდივიდუალურად უნდა მიუდგე ყველას, მე პირველი უფრო მიჭირს, რადგან ყოველთვის მძლევს ხოლმე ემოცია და იმ ქირურგს ვგავარ, ოპერაციის საყვარელი ადამიანისთვის გაკეთებისას

ნახა ჩვენთან ახალგაზრდები საკუთარი მანქანებით გადაადგილდებიან, ჩემს ნაცნობ პროფესორს უთხრა, რა წარმატებული ახალგაზრდები გყოლიათო. როცა გაიგო, რომ ხშირ შემთხვევაში მშობლები ყიდულობენ ამ მანქანებს, გაოგნდა, რადგან ასეთი რამ მათთვის დაუშვებელია. ამას მშობელი ვერ აცნობიერებს, საკუთარი შვილისთვის ყველაფერის გაკეთება უნდა, მაგრამ ამავდროულად უნდა, შვილი მისი ოცნებებით ცხოვრობდეს, ყველაფერს უსრულებს და ასეთი ფორმით ერთგვარი გარიგება აქვს შვილთან.

როგორ ველაპარაკოთ შვილებს? მშობლები ბევრს ვფიქრობთ, როგორი ენით ველაპარაკოთ შვილებს, რომ კავშირი შედგეს მაშინაც კი, როცა თიხელი რომ უკანკალებს.

ერთი, რაც მოსწავლეებთანაც და შვილებთანაც ასი პროცენტით ამართლებს, სამართლიანობაა. სამართლიანი მენტორის შენიშვნა, მასწავლებელია იგი თუ მამა, მიუღებელი არაა ბავშვისთვის რაგინდ მწარე სიმართლე უთხრას მას. მოზარდმა უნდა იცოდეს, რომ როდესაც მობილური ტელეფონის მავნებლობაზე ველაპარაკები და თან ეკრანს თავაუღებლივ „ვსქროლავ“, არ ვარ სამართლიანი და სანდო კაცი და ამას, შეიძლება სიტყვით ვერ ხსნიდეს, მაგრამ ბავშვური გულისგონებით აუცილებლად ხვდება.

მეორე და მნიშვნელოვანი შენიშვნის მიცემის კულტურაა. ხშირად, ჩვენ გვავიწყდება ცხოვრების ყველა რთული ამბავი, მაგრამ ვერასოდეს ვივიწყებთ შენიშვნას, რომელიც უსამართლოდ მივიღეთ. ბავშვები შენიშვნების მიმართ მგრძნობიარეები არიან, უფროსებთან შედარებით და ზოგადად, მეჩვენება, რომ ადამიანებს არც ერთ ასაკში მოგვწონს შენიშვნა, განსაკუთრებით, როცა ის დაუმსახურებელი გვგონია. როდესაც ორი ადამიანი კონკრეტულ საკითხზე თანხმდება და პირობის შეცვლის შემდეგ, ერთი დასაბუთებულად მიიღებს შენიშვნას მეორისგან, ეს გაცილებით ადვილი გადასატანია, ვიდრე გაუგებარი შენიშვნები, რომელსაც გუნება-განწყობისამებრ და არა პრინციპებიდან გამომდინარე ვაძლევთ ხოლმე შვილებს.

„რვეულს თავზე გადაგახევ, მერამდენედ უნდა დაუშვა ერთი და იგივე შეცდომა?!“ როგორი მოსასმენია? მოდი, ვითომ შევარბილოთ და ასე ვთქვათ: „მგონი უნიჭო ხარ ამ საქმეში, ვერ იგებ, არადა მესამედ გიხსნი!“ -ან კიდევ უფრო გავამარტივოთ: „ვერ იგებ ამ ამოცანას?“ თითქოს მესამე ვარიანტი ყველაზე მსუბუქია, ამ დროს სამივე ჩანასახშივე მცდარია, რადგან არ ვიცით რატომ ვერ ართმევს ბავშვი თავს ამოცანას. მე ვკითხავდი ასე: „ხომ არ დაიღალე? გინდა ცოტა დაისვენე, ეს ამოცანა შენთვის რა მარტივია, ხომ იცი?“ **კომუნიკაციის პოზიტიური მიმართულებით წარმართვამ შეიძლება მამა-შვილს, მასწავლებელ-მოსწავლეს შორის ურთიერთობა რადიკალურად შეცვალოს და შეცვალოს კარგისკენ, რადგან საითაც ქარი ქრის, იალქნიანი ნავიც იქეთ უკეთესად მიცურავს.** მე ვცდილობ ყველა, აბსოლუტურად ყველა მოსწავლე და შვილებიც ნახალისების მეთოდით აღვზარდო და დასჯა მხოლოდ არწახალისება და არშექება იყოს ხოლმე.

როდესაც ბავშვს გრძელ, მორალისტურ ტექსტს ვუკითხავთ „რა არის კარგი და რა ცუდი,“ თურმე ჩანასახშივე წყალში გადაყრილი შრომაა, რადგან თუ გვეპასუხებიან, კომუნიკაცია არ დგება და კამათში გადადის დიალოგი, თუ არ გვეპასუხებიან და თავდახრილი გვისმენენ, მთლად უარესია - რადგან ემოცია რჩება ადამიანში და იწყებს ნეგატიურად მუშაობას, შიგნიდან ნგრევას და ურთიერთობების ნგრევას და თანაც, ბავშვს „შემაგონებელი“ (მე ვიტყოდი: შემაღონებელიც) დარიგებებისგან 30 წამზე მეტი არ ამახსოვრდება, ეს კი 2-3 ცალი მოკლე წინადადებაა, რომელიც ხმის აწევისა და შორი გზით შემოვლის გარეშეც შესაძლებელი იქნებოდა. თან საინტერესოა ისიც, რომ ამ 30 წამიდან, ბავშვმა შესაძლოა სულაც ისეთი 2 წინადადება დაიმახსოვროს, მთავარ სათქმელთან რომ არაფერ შუაშია და მთელი შრომა წყალში გვექნება ჩაყრილი. მე ვცდილობ ხოლმე (როცა გამომდის და როგორც გამომდის) მოკლე წინადადებებით, სავარაუდო პასუხებით „კი, არა“ ვუთხრა შვილს, რატომ ვაფასებ მის ამა-თუ-იმ ქცევას ისე, როგორც ვაფასებ და ვუხსნი ჩემი ლოგიკის ლოგიკურობასაც. ბავშვები ძალიან მიმღებლები არიან სამართლიანი შენიშვნების მიმართ. იმ წუთას რომც არ დაგვეთანხმონ (ან რატომ უნდა დაგვეთანხმონ ყოველთვის?), რამდენიმე საათიანი ფიქრის შემდეგ, აუცილებლად მიხვდებიან რა ვუთხარით, რადგან სიყვარულით სავსე ტონი, მშვიდი მზერა და მზრუნველი ხელის გადასმა თავზე, ყველაზე გრძელ და ბრძნულ წინადადებაზე უკეთესია. მამაჩემმა იცის ხოლმე თქმა: ადამიანები არასოდეს უკვირდებიან რა საიდუმლოებებს ლაპარაკობენ ბავშვებთან და პირად მძღოლებთან, რადგან ერთიც და მეორეც გაფუჭებულ ტელევიზორზე ნაკლებად მნიშვნელოვანი ჰგონიათო. ბავშვები კი ღრუბელივით იწოვენ უფროსების ნალაპარაკევს, განსაკუთრებით ოჯახში ნათქვამ ნებისმიერ სიტყვას და წინადადებას, შეფასებას და ქცევის იმ მოდელებს, რომელსაც მათთან ურთიერთობისას ნებით თუ უნებლიედ ჩვენვე ვნერგავთ. თავაზიანობით აღზრდილი ბავშვი სხვებთან კომუნიკაციას თავაზიანადვე ცდილობს, ყვირილითა და ხისტი შეგონებებით „მორჯულებული“ მოზარდი კი იგივე ქცევის მოდელის დანერგვას ჯერ სკოლაში, შემდეგ სამსახურში და ბოლოს ახალშექმნილ ოჯახში ეცდება. კომუნიკაციის ეს ხაზი არასოდეს შეიცვლება და არც გამოსწორდება, თუ შვილებთან ლაპარაკი, როგორც მომავალში უდიდეს პიროვნებებთან, ახლავე და სწორად არ დავიწყეთ. როდესაც წინ მოსწავლე, ან შვილი მიზის და გაბრაზებული, ნაწყენი ტონით გრძელი და მომაბეზრებელი წინადადებების ერთბაშად თქმას ვლამობ, ვცდილობ ნარმოვიდგინო ხოლმე, რომ ჩემ წინ ახლა ის საპატივცემულო ადამიანია, ვინც იმ თავისი შეცდომებითა და მიღწევებით ძალიან მიყვარს. ბრაზი სადღაც მიდის, მოდის მხოლოდ ღიმილი და სიხარული, რომ შეიძლება ოდესღაც ასეთი ცელქი, მოუსვენარი და საყვარელი ბიჭუნა ან გოგო იყო რომელიღაც ფშაველა, აინშტაინი, იოჰან სებასტიან ბახი ან ელლა ფიცჯერალდი. და სწორედ იმ, ჩემთვის გაურკვეველი მომავლის ხათრით, აქ, დღევანდელ ყოფაში შვილთან კომუნიკაცია გაცილებით მიადვილდება. მე ხომ საკუთარი ბავშვობაც მახსოვს?“

უამრავი ინფორმაციისა და სწრაფად ცვალებადი მოვლენების ტალღებში გაჩერება და საკუთარ თავთან ჩარღმავება აუცილებელი წინაპირობაა იმისა, რომ ჩვენს შვილებთან ვიყოთ ჰარმონიულ ურთიერთობაში. ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რისთვის და რაზე ვხარჯავთ დროსა და ენერგიას.მცირე, დადებითი დეტალებით სიამოვნების მიღება ჩვენც უნდა შევძლოთ და შვილებსაც უნდა ვასწავლოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უმრავლესობასავით არც მათ ექნებათ მადლიერების განცდა; მათთვისაც ყველაფერი ცუდი და არასაკმარისი იქნება.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

რა პრობლემები შეუქმნა პანდემიამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს?

14 ივნისს საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე აღინიშნება. პირების, რომლებისთვისაც ყოველთვის მზად გვაქვს შაბლონური ფრაზა: „შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს, არსებობს შეზღუდული გარემო“. რამდენად ბანალურადაც უნდა ჟღერდეს, ეს სიტყვები დღეს ყველაზე აქტუალურია, მიუხედავად იმისა, რომ დარაბებს მიღმა 21-ე საუკუნე და განვითარებული მსოფლიოა. რა მოიტანა განვითარებულმა სამყარომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის? როგორ შეიცვალა მათი ყოფაცხოვრება იმ საუკუნეში, რომელსაც ჩვენ „ამაყად“ და „თავმომწონედ“ ტექნიკურად ძლიერ საუკუნეს ვუწოდებთ. შეიცვალა თუ არა რაიმე საზოგადოების მიდგომასა და აზროვნებაში?



გიორგი ხიზანიშვილს ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს. მას ზედა კიდურები არ აქვს. გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ამბობს, რომ პანდემიამ მისი საზოგადოებაში ცხოვრება გაუარესა. მთავრობის მიერ დადგენილი რეგულაციით, რომელიც შშმ პირებს ეხება, მას უფლება აქვს არ ატაროს პირბადე, თუმცა ამის უფლებას მას „თანამედროვე და განვითარებული საზოგადოება არ აძლევს“: ***„ყველაზე მეტად იმას განვიცდი, რომ ჩემთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა წარმოუდგენელი გახდა, ფაქტობრივად ჯოჯოხეთს დაემსგავსა. ძალიან მწყდება გული ხალხის დამოკიდებულების გამო. როგორც იცით, კანონით განსაზღვრულია, რომ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები, ვისაც პირბადის ტარება უჭირთ, არ არიან ვალდებულნი ატარონ პიბადე, თუმცა, სჩანს, რომ ხალხმა ეს არ იცის. ამას წინათ სამსახურში მივდიოდი, ავტობუსში ავედი ისე, რომ პირბადე არ მეკეთა. ავედი თუ არა, ატეხეს ყვირილი, რატომ არ გიკეთია, სასწრაფოდ გაიკეთეო. მთელი ავტობუსი ჩხუბობდა და შეურაცხყოფას მაყენებდა. კონტროლიორი მოვიდა და საბუთი მომთხოვა, პირბადეს რომ არ ატარებ, მაგის უფლება თუ გაქვსო. ამ დროს ერთი გამომესარჩლა, რა საბუთი გინდა, ვერ ხედავ ხელები არ აქვსო?! ძალიან გავმწარდი და მეც ღრიალი დავიწყე, ჩამოვედი ავტობუსიდან და სამსახურამდე ძლივს მივედი ფეხით“.***

პანდემიურმა გარემომ უპირველესად გამოწვევები განათლების მიმართულებით წარმოშვა. ონლაინ რეჟიმის ათვისება და მასთან ინტეგრაცია მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს. შშმ პირებიდან ზოგი უსინათლოა, ზოგი სმენა დაქვეითებული, ზოგიც კი აუტისტური სპექტრის მქონე. არახალია, რომ მათ შესაბამისი გარემო სჭირდებათ. დაიხურა დღის ცენტრები და ადრეული ჩარევის პროგრამები. აუტისტური სპექტრის ბავშვები დარჩნენ სახლში, რაც მათთვის მარტივი არ აღმოჩნდა. ზოგიერთ ბავშვს სჭირდება ქცევის ადგილზე კონტროლი, ამიტომ ონლაინ სწავლება აქ ნაკლებ გამოყენებადია. უნდა ითქვას, რომ ფაქტობრივად, ეს სისტემა ვერ მუშაობს.

Ambebi.ge-სთან საუბარში, **ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის სამმართველოს უფროსი** თამთა გვარამაძე აღნიშნავს, რომ შშმ პირების მხარდაჭერის კუთხით პანდემიამ სახელმწიფო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე მართლაც დააყენა: **„შშმ პირებთან მიმართებაში პანდემიის პირველივე დღიდან დავდექით გამოწვევების წინაშე. იძულებული გავხდით შეგვეჩერებინა მათთვის განკუთვნილი მთელი რიგი პროგრამები. მუშაობა გააგრძელეს მხოლოდ 24-საათიანმა სერვისებმა. თუმცა, აქაც მკაცრი კონტროლი დაწესდა მნახველთა შესვლა-გამოსვლაზე. მას შემდეგ, რაც შეჩერდა მომსახურების ნაწილი, დავდექით ახალი გამოწვევის წინაშე - როგორ შეგვენარჩუნებინა სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები. თუ მათ დავხურავდით, როგორც კი დასრულდებოდა პანდემიური შეზღუდვები და აღდგენა მოგვინდებოდა, ამას მარტივად ვეღარ მოვახერხებდით. ამიტომ ჩვენ ორგანიზაციებს შევუნარჩუნეთ დაფინანსება და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით დავიწყეთ პროგრამების მოდიფიცირება, დისტანციურ რეჟიმზე მორგება. ძალიან დიდმა ნაწილმა შეძლო პროგრამაში ჩართვა. მაგრამ, მაგალითად აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის ძნელი აღმოჩნდა. მათ შემთხვევაში ამ მოდელს, პრაქტიკულად აზრი არ ჰქონდა. ამიტომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს განხილვა, რამდენად გამართლებულია დისტანციური სერვისი ამ კონტინგენტისთვის და იგეგმება კვლევა ამ კუთხით. ამ ეტაპზე შემიძლია გითხრათ, რომ ერთადერთი რასაც ვერ განვაახლებთ ეს არის დღის ცენტრები, რადგან იქ ბევრი ადამიანის კონცენტრირება ხდება და საკმაოდ რთულია რეკომენდაციების დაცვა. ახლა ვგეგმავთ, რომ დაველოდოთ დისტანციური პროგრამის შედეგებს, რა გამოიკვეთეება, რამდენად გამართლებულია მისი მუშაობა და შემდეგ ვიმსჯელებთ ჰიბრიდულ პროგრამაზე, რა ნაწილი შეიძლება იყოს დისტანციური და რა უშუალო კონტაქტით“** - ამბობს გვარამაძე.

მაკა შარმაზანაშვილი, იურისტი და ამავდროულად მშობელია, რომელიც უკვე წლებია აუტისტურ სპექტრს მის შვილთან ერთად კარგად იცნობს. მაკა იმ პრობლემებზე გვიყვება, რაც პანდემიამ ამ პერიოდში მათთვის მოიტანა: **„კოვიდ19-ით გამოწვეული პანდემიურ პირობებში შშმ ბავშვები და მათი მშობლები სტრესულ გარემოში აღმოჩდნენ. ერთ-ერთი გამოწვევა იყო დღის რუტინის ცვლილება, რამაც გარკვეულწილად ქცევის შეცვლა გამოიწვია აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებში, რა დროსაც, აუცილებელი გახდა მათი ემოციების მართვა და კონტროლი. სკოლა გადავიდა დისტანციური მართვის ფორმაზე, რამაც გარკვეული სირთულეების წინაშე დააყენა ასა-ს მქონე ბავშვები თუ მოზარდები. პირველ რიგში შეიცვალა კომუნიკაციის ფორმა, რაც ასა-ს მქონე ბავშვებში რთულად გასაგები და გადასალახი აღმოჩნდა, მაშინ, როცა უშუალოდ კონტაქტი და ჩართულობაა საჭირო. მათთვის არანაკლებ რთული აღმოჩნდა იზოლირებასთან შეგუება. ასევე საჭირო გახდა დამატებითი რესურსების მოძიება, თუმცა მშობელსა და მასწავლებელს შორის არსებული კომუნიკაციის ფონზე მაინც ვახერხებდით ერთმანეთისთვის გაგვეზიარებინა ესა თუ ის აქტივობა, რომლითაც ხელს ვუწყობდით ბავშვის განვითარებას. იმის მიუხედავად, რომ პანდემიის პირობებმა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მდგომარეობა შედარებით უფრო გაართულა, მშობლები ვალდებულები ვართ ყველანაირად ხელი შევუწყოთ და დავეხმაროთ მათ ამ პროცესის დაძლევაში. სახელმწიფო კი ვალდებულია დაიცვას თითოეული შშმ პირის უფლებები და მისცეს მათ მყარი სამართლებრივი გარანტიები.“**

ომბუდსმენი, ნინო ლომჯარია: **„ახალი კორონა ვირუსის პანდემიის გამოცხადებას საერთაშორისო დონეზე შშმ პირთა ვირუსისადმი ერთ-ერთ მოწყვლად ჯგუფად აღიარება მოჰყვა. საქართველოში ახალი კორონა ვირუსის (COVID 19) გავრცელების პრევენციის მიზნით არსებული შეზღუდვების ფონზე, შშმ პირებს დამატებით პრობლემებს უქმნის ქვეყანაში ფიზიკური გარემოს, სერვისებისა და ინფორმაციის მისაწვდომობის კუთხით არსებული ხარვეზები, მძიმე სოციალური ფონი, შეჩერებული მიზნობრივი სარეაბილიტაციო პროგრამები, ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის კუთხით არსებული ბარიერები. კარანტინის და იზოლაციის რეჟიმი უარყოფითად აისახება სხვადასხვა სახის მხარდაჭერის საჭიროების მქონე პირებზე.“** სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ არასაკმარისია კრიზისის დროს შშმ პირთა ინტერესების გათვალისწინების მიზნით მიღებული ზომები. ის კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას სახელმწიფოს ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული დახმარების მიღმა დარჩენილ შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინების აუცილებლობაზე. პრობლემურია ადგილობრივ მუნიციპალურ დონეზე შშმ პირთათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მიზნობრივი მხარდაჭერის აღმოჩენის საკითხიც. **„გამოწვევად გამოიკვეთა ინკლუზიურ საგანმანათლებლო პროცესში შშმ და სსსმ მოსწავლეების ჯეროვანი ჩართვა. გარდა მძიმე სოციალური ფონისა და საკომუნიკაციო საშუალებებსა და ინტერნეტზე მისაწვდომობის კუთხით არსებული პრობლემებისა, შშმ მოსწავლეთა შემთხვევაში გამოწვევას წარმოადგენს დისტანციური საგანმანათლებლო პროცესის მისაწვდომი ფორმატებით წარმართვა და ამ მიზნით შესაბამისი ადამიანური რესურსების დროული და ეფექტური მობილიზება. პრობლემები განათლების მისაწვდომობის კუთხით განსაკურებით მწვავედ დგას ქცევის სირთულისა და სენსორული შეზღუდვის მქონე ბავშვების შემთხვევაში. გასათვალისწინებელია, რომ პანდემიის პირობებში მოდიფიცირებული სარეაბილიტაციო სერვისების დისტანციურად მიწოდება ზოგიერთ შემთხვევაში არაეფექტურია და სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს გარკვეული კატეგორიის შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა ინტერესების დაცვას. შედეგად, ბენეფიციართა ნაწილი თვეების განმავლობაში აუცილებელი მომსახურების მიღმაა დარჩენილი“ ,** - ნათქვამია განცხადებაში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებებით, სახალხო დამცველი მოუწოდებს შესაბამის სახელმწიფო უწყებებს პანდემიის პირობებში შშმ პირთა უფლებების დაცვის მიზნით: **„შშმ პირთა და მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობით შემუშავდეს პანდემიისა და მის შემდგომ პერიოდში შშმ პირთა საჭიროებების დაკმაყოფილების კომპლექსური ხედვა და სტრატეგიული დოკუმენტი; მუდმივ რეჟიმში გაგრძელდეს შშმ პირების ინფორმირება მათთვის მისაწვდომი ფორმით; მუნიციპალურ დონეზე არსებულ პროგრამებში და აქტივობებში მოხდეს შშმ პირთა მიზნობრივ ჯგუფად გათვალისწინება; უზრუნველყოფილ იქნას შშმ პირთა მიზნობრივი რეაბილიტაციის სერვისების იმგვარი ადაპტირება, რაც უზრუნველყოფს როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სერვისის უწყვეტობას ბენეფიციარისთვის მისაღები და აუცილებელი ფორმით (დისტანციურად ან პირისპირ), ისე ვირუსის ეფექტურ პრევენციას; უზრუნველყოფილ იქნას შშმ პირთა 24 საათიანი ზრუნვის დაწესებულებებში დაცული პრევენციული ღონისძიებების მუდმივი და ეფექტური კონტროლი; ეფექტური ზედამხედველობა გაეწიოს კოვიდ 19-ის პირობებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა მკურნალობის პროტოკოლების შესრულების პროცესს როგორც სტაციონარულ, ისე სტაციონარს გარე მომსახურებებში; მიიღოს აუცილებელი ზომები შშმ და სსსმ მოსწავლეთა დისტანციურ საგანმანათლებლო პროცესში სრულყოფილი ჩართვის მიზნით შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსების მობილიზებისა და ტელესკოლის გაკვეთილების იმ ყრუ და სმენის პრობლემის მქონე მოსწავლეებისთვის მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, რომელთაც არ იციან ჟესტური ენა“** .

პ.ს ამ თემაზე კიდევ ერთხელ ამოვიკითხე ნელსონ მანდელას სიტყვები: „მთავარი საქმე არ უნდა იყოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანთა მიმართ ფილანტროპიის წახალისება. მათ არ სჭირდებათ „უნარიანი“ ხალხის მფარველობა. ჩვენ გვმართებს კაცობრიობის უნივერსალური ღირებულებების გაცნობიერება; გააზრება თუ რამდენად სხვადასხვანაირია ადამიანური ცხოვრება; აღიარება, რომ ჩვენ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა არსებობა ჩვენი მრავალფეროვნების კიდევ ერთი სიმდიდრეა“. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ასეთი მრავალფეროვნებისთვის მზად ჯერ კიდევ არაა, ეს კი უპირველესად შშმ პირების სახლებში ჩაკეტვას, ასოციალურობას, სტიგმატიზაციას და საზოგადოებისგან გარიყვას იწვევს. ახლა კი თავად უპასუხეთ კითხვას: შეიცვალა თუ არა რაიმე საზოგადოების მიდგომასა თუ აზროვნებაში, ჩვენს ძლიერ და მოდერნიზებულ სამყაროში.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

რა გავლენას მოახდენს საქართველოზე სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირება?

სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე, თოვუზის რეგიონში დაპირისპირება 12 ივლისს გამწვავდა. საბრძოლო მოქმედებების განახლებაში სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთს ადანაშაულებენ. ცოცხალი ძალის დანაკარგი ორივე მხარემ განიცადა.

აზერბაიჯანული მხარის განცხადებით, საზღვრის პირას მდებარე დასახლებებში - აღდამი, ვაჰიდლი და ალიბეილი - მოსახლეობის ნაწილი ევაკუირებულია.

აღდამის მუნიციპალიტეტის მეთაურის, რაჰილია ასკეროვას თქმით, ინტენსიური სროლის გამო, 13 ივლისს გვიან ღამით, მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ იქნა მიღებული გადაწყვეტილება. მისი თქმით, ბავშვები, ქალები და მოხუცები სხვადასხვა უსაფრთხო დასახლებებში გადაანაწილეს. **„სიტუაცია ძალიან მძიმეა, მოსახლეობა შეშინებულია"** - ამბობს "ბიბისის"-თან საუბარში სოფლის ერთ-ერთი მაცხოვრებელი.

დაპირისპირების ადგილი და ურთიერთბრალდებები

დაძაბულობის ცენტრი, მთიანი ყარაბაღიდან 300 კილომეტრის მოშორებით ტავუშის/თოვუზის რაიონში მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ თოუზის რაიონი საქართველოს ესაზღვრება.

სომხეთის თავდაცვის სამინისტრო ირწმუნება, რომ ჯარისკაცებმა ცეცხლი არა აზერბაიჯანულ სოფლებს და დასახლებებს გაუხსნეს, არამედ, მხოლოდ სამხედრო ინფრასტრუქტურას და მძიმე ტექნიკას.

თავის მხრივ, აზერბაიჯანულმა მხარემ განაცხადა, რომ მათ მშვიდობიანი მოსახლეობისთვის და სომხეთში დასახლებული პუნქტებისთვის ცეცხლი არ გაუხსნიათ.

სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ბაქოს, სამოქალაქო ინფრასტრუქტურისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ცეცხლის მიზანმიმართულ გახსნაში ადანაშაულებს.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ილჰამ ალიევმა მომხდარს, სომხეთის მხრიდან პროვოკაცია და აზერბაჯანის ტერიტორიის ნაწილის მიტაცების მცდელობა უწოდა.

საერთაშორისო გამოხმაურება

გაეროს გენერალური მდივნის, ანტონიო გუტიერეშის თქმით, სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე სროლის და მძიმე შეიარაღების გამოყენება შემაშფოთებელი ფაქტია.

ეუთო ერევანსა და ბაქოს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებს. ქვეყნებს, შეტაკებების შეწყვეტისკენ მოუწოდებს ევროკავშირიც, ასევე რუსეთის საგარეო სამინისტრო.

როიტერსის ინფორმაციით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა, ორივე ქვეყნის კოლეგასთან, სატელეფონო საუბარი გამართა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა მკვეთრად დაგმო ძალადობა აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვარზე: **„ჩვენ მოვუწოდებთ მხარეებს დაუყოვნებლივ შეაჩერონ ძალის გამოყენება, გამოიყენონ მათ შორის არსებული პირდაპირი კონტაქტები, რათა თავიდან აიცილონ ვითარების შემდგომი გაუარესება და მკაცრად დაიცვან შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ..."**

1992 წლიდან კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარების საკითხზე მოლაპარაკებები, „მინსკის ჯგუფის" ფარგლებში მიმდინარეობს, რომელსაც თანათავმჯდომარეები - ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი და საფრანგეთი - ხელმძღვანელობენ. „მინსკის ჯგუფმა" კონ-

ფლიქტის მყარი მოწესრიგება, ჯერ-ჯერობით ვერ უზრუნველყო

მეზობელ ქვეყნებს შორის მიმდინარე დაპირისპირებაზე გთავაზობთ ექსპერტ, მამუკა არეშიძის კომენტარს: „იმ შემთხვევაში, თუ ამ ამ კონფლიქტის უკან დგანან მსხვილი მოთამაშეები, მაშინ ეს კონფლიქტი, შეიძლება ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში გადაიზარდოს. მაგრამ თუ ასე არ არის, მაშინ ამ კონფლიქტის ლოკალიზება მოხდება. ჩაერევიან მსხვილი მოთამაშეები და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ კონფლიქტი საომარ მოქმედებებში არ გადაიზარდოს. თუ კონფლიქტი მასშტაბური გახდა, მაშინ საქართველოზე დიდ გავლენას მოახდენს. ფართომასშტაბიანი ომის შემთხვევაში გავლენები შეიძლება სხვადასხვა ტიპის იყოს:

ერთ-ერთია ის ენერგო კორიდორები, რომელიც გადის საქართველოს ტერიტორიაზე და ორივე ქვეყნის ეკონომიკაა დამოკიდებული. ეს ენერგო კორიდორები შეიძლება დივერსიული ჯგუფების თავდასხმის ობიექტი გახდეს.

ამას გარდა, შესაძლებელია საქართველოში მცხოვრები ამ ქვეყნების ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირება მოხდეს. 90-იან წლებში მოვლენათა განვითარების მსგავსი სცენარი აცილებულ იქნა თავიდან, თუმცა ახლა ძალიან გაგვიჭირდება იმავეს გაკეთება.

არ არის გამორიცხული, რომ დევნილთა ნაკადი მოაწყდეს საქართველოს და ეს ჩვენი ქვეყნისთვის ჰუმანიტარული დარტყმა იქნება. ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ რეგიონში, სადაც საომარი მოქმედებები მიმდინარეობს, ინვესტიციებს არავინ ჩადებს და ეს კიდევ ერთი ძლიერი დარტყმა იქნება, ჩვენს არამყარ ეკონომიკაზე. ეს მხოლოდ რამდენიმე ვერსიაა, თუმცა იმედი ვიქონიოთ, რომ სიტუაცია მალე დაწყნარდება".

ხსოვნა

ზემფირა და უშანგი იაკობიშვილები



დედა! მამა! სიტყვები, რომლის თქმაც სანატრელი გაგვიხდა, რომლის დაძახებაზეც პასუხს არავინ გვცემს... ტკივილი, რომელიც მოუშუშებელია და იმედი, რომელიც გაქრა.

ჩემო სიკეთით მოსილო, ულამაზესო დედა, 1 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. ჩემო კეთილო და სამართლიანო მამა, შენ კი 7 წელია, რაც მიგვატოვე.

ძნელია თქვენზე წარსულში საუბარი, საყვარელო მშობლებო. ჩვენთვის დაცარიელდა სახლი უთქვენოდ. თვალებით სულ თქვენ გეძებთ, ცრემლებს ვერ ვიკავებთ, ტკივილი დაგვრჩა სულში. რამდენადაც დიდი იმედი იყავით ჩვენთვის, იმდენად დიდ და მოურჩენელ ტკივილად იქეცით, მაგრამ ყველაფერი ღვთის ნებაა.

ჩემო მონატრებულო მშობლებო, სოფელში ყველა კეთილ, მოსიყვარულე და სამართლიან ადამიანებად გიცნობდათ, ყველას უყვარდით და პატივს გცემდნენ.

წლები მიდის, გრძელდება ცხოვრება უთქვენოდ, მაგრამ დრო ვერ გაანელებს იმ დიდ სიყვარულს, რომელსაც დედაშვილობა და მამაშვილობა ჰქვია.

ჩემო საყვარელო დედა! ჩემო საყვარელო მამა! ყველას ძალიან გვაკლიხართ. ენატრებით შვილებს, შვილიშვილებს, რძლებს და შვილთაშვილებს.

ერთი რამ დაგვრჩა ნუგეშად. ვილოცოთ თქვენი სულისთვის. არ მოგაკლოთ წმინდა სანთელი და საკმეველი. უფალმა ნათელში გამყოფოთ და სამუდამო სასუფეველი დაგიმკვიდროთ, საყვარელო მშობლებო. ღმერთს ებარებოდეთ.

თქვენი შვილები

გურამ ბენაშვილი



დრო გავიდა.. მე ისევ ვარ, შენ- არა. წლები დამჭირდა ამ აზრთან შეგუებისთვის. სკოლიდან მისული ახალ ამბებს ვეღარ გიყვებოდი და შენ „ოჯახის საქმის ანგარიშს" ვერ მაბარებდი. ბოლო წლებში ხომ უმუშევარი იყავი, როგორც სხვები, მაგრამ უსაქმოდ რა გაგაჩერებდა, ოჯახის კაცი იყავ, შრომა გიყვარდა, სხვებსაც სულ მუდამ ეხმარებოდი ჭირსა და ლხინში.ჩვენმა გულიკომ, შენი ასლი რომ არის ხასიათით, ყველაფერი ილონა ჩემს გასამხნევებლად, როგორც სულიერად, ასევე ეკონომიურად, ზაზას კი შენი ხმის გაგონება ენატრებოდა.

დაიზარდნენ ჩვენი შვილიშვილები. წარმატებას მიაღწიეს სწავლასა და შრომაში. გულიკოს შვილმა, ბაქარ ქავთარაძემ, წიგნი დაწერა ფილოსოფიაში, უნივერსიტეტი უკვე მეორე წიგნსაც უბეჭდავს. (როგორ გაუხარდებოდა უდროოდ წასულ ჩემს ფილოსოფოს ძმას- ავთანდილ პოპიაშვილს!) უხერხულია ყველას ჩამოთვლა, ვინ რა გააკეთა. რაც მთავარია, კარგ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ. და სიძე-რძალიც კარგად შეეწყნენ ოჯახებს.

შვილიშვილების ქორწილში ვიყავი. როგორც კი მუსიკის ხმა გაისმა, თითქოს ცხადად „დაგინახე", როგორ ადექი, ხელები გაშალე და ნეფე-პატარძალი საცეკვაოდ გამოიწვიე. შენ ხომ გიყვარდა ცეკვა-სიმღერა და თავის გამოჩენაც, რას გაჩერდებოდი. ჩამომდიოდა ცრემლი და ეგონათ, მხოლოდ სიხარულის. რა იცოდნენ, ჩემი თავისთვის როგორ მშურდა... მე იქ ვიჯექი და შენ არა... უკვე შვილთაშვილი გვყავს- მათე ჭინჭარაული. ჩვენი პირველი შვილიშვილი, ნათია გერმანიაშია ქმარ-შვილთან ერთად. ამ თვეში 15 წელი შეგისრულდა გარდაცვალებიდან. გულიკო და თავისი მეუღლე (თემურ ქავთარაძე) ზაზამ ჩამოიყვანა და თონეზე გაგიშალეთ სუფრა. ცხელი პურისა და ნაზუქის დახდამდე ჩააკმიეს, სანთელი ავანთეთ და ჭიქები ასწიეს შენს ბიძაშვილის შვილებთან ერთად, რძალმა თავის დროზე დიდი პატივი გცა. როგორ გიყვარდა თონის გახურება და პურის დახდა. მერე მოვედით შენს საფლავთან, დაგინთეთ წმინდა სანთლები და იქაც შენდობა გითხარით.

ყველამ ვიცით, რომ დღევანდელ სიტუაციაში სხვანაირად აღნიშვნა არ შეიძლებოდა. შენთან ერთად მინდა გავიხსენო შენი უფროსი და -ციალა, ქალი მშრომელი, ოჯახის ერთგული, ნათესავებისა და მეზობლების იმედი. ეზოში რომ ჩამოასვენეს, მეზობლის ქალმა იტირა, ჩვენ რა გვეშველება უშენოდ, რა უნდა გავაკეთოთო.

შენი ბიძაშვილისშვილები: დალი და ნელი ბენაშვილები, შენს ხელში დაზრდილები, ჭკვიანი და განათლებული გოგოები, უდროოდ წავიდნენ, როგორ გიყვარდა ორივენი. შენი მამიდაშვილის შვილი, ზაურ ზუბიაშვილი, ოჯახის კაცი, ადამიანის გვერდში მდგომი, როგორ გამწარდებოდი... და შენი დისშვილი (მარგოს ბიჭი) მალხაზ ნასრაშვილი, ჭკვიანი და მოსიყვარულე ადამიანი, ის ხომ თქვენი ოჯახის პირველი შვილიშვილი იყო. უზომოდ გიყვარდა... დაკრძალვის მომენტში შენზე ვფიქრობდი... ის რომ შესწრებოდა, მალხაზის ცხედარი დაენახა, ვერ გადარჩებოდა-მეთქი. მე ხომ „შენთან ერთად" დავდივარ ჭირსა და ლხინში. ნათელში იყავ, ძვირფასო, შენ მუდამ იქნები ჩვენს მეხსიერებაში.

და ბოლოს, ცხოვრება იმაზე რთულია, ჩვენ რომ გვგონია. უფალს ვთხოვ, ქვეყანაზე მშვიდობა იყოს, ოჯახებში კი ჯანმრთელობა და სითბო-სიყვარული. გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, ადვილად ნუ გავიმეტებთ.

ნათელა პოპიაშვილი-ბენაშვილი
სოფელი გამარჯვება,

ქართული აბრეშუმი – არამატერიალური კულტურული ძეგლი

საქართველოში მეაბრეშუმეობის დარგს დიდი ისტორია აქვს! ჩვენს ქვეყანაში მეაბრეშუმეობის დარგის აღორძინება ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება. სხვადასხვა წყაროების თანახმად, თბილისის დამაარსებელმა ინდოეთიდან ნადავლი - გრენა ჩამოიტანა და ამით საქართველოში აბრეშუმის კულტურის დარგის განვითარებას ხელი შეუწყო.

ცნობილი იტალიელი მოგზაური მარკო პოლო თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ მე-12 საუკუნეში საქართველოში მეაბრეშუმეობა და აბრეშუმის ქსოვა ძლიერ იყო განვითარებული, ქართველები ოქროს ძაფებით ულამაზეს აბრეშუმის ქსოვილების ქმნიდნენ.

1928 წელს ფრანგმა ვაჭარმა კასტელამ საქართველოში პირველი აბრეშუმსახვევი ფაბრიკა დაარსა. ფაბრიკის ნაწარმი თვეში 4-5 ფუთას შეადგენდა. საქართველოს მუზეუმებს შორის ერთ-ერთი უძველესი, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი 1887 წელს დაარსდა. 1895 წელს ხონში პირველი ძაფსახვევი ფაბრიკა ამოქმედდა. რამდენიმე წელიწადში ხონი აბრეშუმის საერთაშორისო სავაჭრო ცენტრად იქცა. ხონში ნაწარმოები აბრეშუმი ექსპორტზე ევროპის ქვეყნებში გადიოდა. გასული საუკუნის 60-იან წლებში

საქართველოში ყოველწლიურად 4,0-4,5 ათას ტონა აბრეშუმის პარკს აწარმოებდნენ, მეაბრეშუმეობაში დასაქმებული იყო 200-დან 300 ათასამდე ადამიანი. ჩვენი აბრეშუმი ყოველთვის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა. 1988 წელს, მადრიდში ქართული აბრეშუმის ძაფისგან დამზადებულმა ქსოვილმა, ევროპის ხარისხის კომისიის მიერ უმაღლესი ჯილდო - „პლატინის ვარსკვლავი“ მოიპოვა. 2018 წელს ქართულ აბრეშუმს არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი მიენიჭა. მეაბრეშუმეობა აგრარული სფეროს ერთ-ერთი წამყვანი დარგია და მისი

აღორძინება ჩვენთვის პრიორიტეტულია!

მეაბრეშუმეობის დარგის აღორძინების მიზნით, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი 2015 წლიდან თუთის აბრეშუმხვევიას გენოფონდს დაცვა-გაძლიერების ღონისძიებებს აქტიურად ხორციელდება! პერიოდულად, ახმეტის რაიონიში, სადაც წარსულში მეაბრეშუმეობა განსაკუთრებით განვითარებული იყო, ადგილობრივ მოსახლეობას გრენასა და აბრეშუმის ჭიას საჩუქრად ურიგდება. მეაბრეშუმეობის სადგურში თანამდროვე და უცხოურ ჯიშებთან ერთად, მე-19 საუკუნის. ხდება ხალხური სელექციით გამოყვანილ უნიკალურ თუთის აბრეშუმხვევიას დაცვა!

თუთის აბრეშუმხვევიას აღნიშნული გენოფონდი ერთადერთია საქართველოში და მისი შენარჩუნება უაღრესად მნიშვნელოვანია მეაბრეშუმეობის აღორძინებისა და შემდგომი განვითარების საქმეში. ქართული აბრეშუმი ყოველთვის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა. დღესაც არსებობს ისეთი ჯიშები, რომელთა ბიოტექნოლოგიური მაჩვენებლები მსოფლიო სტანდარტებთან შედარებით გაცილებით მაღალია, ისინი ხასიათდება პარკის ძაფის მაქსიმალური სიგრძითა და სიწმინდით. ამ თვისებებით განსაკუთრებით გამოირჩევა მზიურების ჯგუფის ჯიშები. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის და აბრეშუმის მუზეუმის ფონდის წარმომადგენლების ძალისხმევის შედეგად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, ქართულ აბრეშუმს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

ყურადღება!

სსიპ კოლეჯი „აისი„/Gollege Aisi
სიახლე 2020 წლის მიღებისათვის
წელს პირველად!

ცხრა კლასის განათლების მქონე პირები შეძლებენ სწავლა განაგრძონ ინტეგრირებულ პროგრამაზე და სწავლის დასრულების შემდეგ მიიღონ დიპლომი, რომელიც უთანაბრდება სრული ზოგადი განათლების(ე.წ. XII კლასის) ატესტატს. კოლეჯი „აისი“ -ს დედოფლისწყაროს ფილიალი პირველად განახორციელებს შემდეგ ინტეგრირებულ პროგრამაზე მიღებას.

სსიპ კოლეჯი „აისი“ დედოფლისწყაროს ფილიალში მიმდინარეობს რეგისტრაცია შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ინჟინერიის მიმართულება:

1. ელექტრობა-III დონე (სწავლის ხანგრძლივობა 9,5 თვე)
2. ქვის სამუშაოების წარმოება- III დონე(სწავლის ხანგრძლივობა 11 თვე)
3. შედუღება-IV დონე(სწავლის ხანგრძლივობა 3წელი ინტეგრირებული)

ხელოვნების მიმართულება:

1. თმისა და სილამაზის მომსახურება-III დონე(სწავლის ხანგრძლივობა 10,5 თვე)
2. თექის დამზადება-III დონე(სწავლის ხანგრძლივობა 10,5 თვე)

ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულება:

1. ბუღალტრული აღრიცხვა-V დონე(სწავლის ხანგრძლივობა 18 თვე)

ჯანდაცვის მიმართულება:

1.საექთნო საქმე-V დონე(სწავლის ხანგრძლივობა 26,5 თვე)

ჩარიცხვა ხდება ტესტირების საფუძველზე კონკურსის წესით. სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. 2 ცალი ფოტო სურათი/ზომით 3/4
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. განათლების მოწმობის ასლი დამოწმებული ნოტარიულად
4. განცხადება/ადგილზე შევსებით

საბუთების მიღება დაიწყო!
იჩქარეთ!

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მობრძანდეთ კოლეჯში შემდეგ მისამართზე:
ქ. დედოფლისწყარო, სოფ. სამრეკლო (სოფ. ჯაფარიძე)
ტელ: 577 557 159 ; 577 962 967

იყიდება!

გურამიშვილის გამზირზე, სანზონის დასაწყისში იყიდება ერთ ოთახიანი სუფთა ბინა 8/8. ფასი შეთანხმებით. მსურველები დაგვიკავშირდით. ტელეფონი: 599 85 58 32

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 18.07	სამშაბათი 19.07	ოთხშაბათი 20.07	ხუთშაბათი 21.07	პარასკევი 22.07	შაბათი 23.07	კვირა 24.07
დღე	33°	35°	37 °	36 °	26 °	27 °	30 °
ღამე	23 °	29 °	26 °	21 °	19 °	23 °	23 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.